როგორ დაიკარგა ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 21 აპრილი. მზიანი ამინდი. 18 გრადუსი. 40 000 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (მინსკი) 1:1 (1:0).

გოლები: გ. სიჭინავა (თბილისი) (22) 1:0, მუსტიგინი (მინსკი) (80) 1:1.

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, მაისურაძე, დათუნაშვილი.

მინსკი: დენისენკო, რიომინი, ზარემბო, უსატორე, სავოსტიკოვი, მოზერი, არზამასცევი, ადამოვი, მუსტიგინი, მალაფეევი, პოგალნიკოვი (იარომკო - 71).

მსაჯი ა. ვასილიევი (ხარკოვი); გვერდითი მსაჯები ნ. ბოლოტნიკოვი (მოსკოვი) და ვ. მარჩენკო (ხარკოვი).

დუბლიორები – 1:0 მინსკელთა სასარგებლოდ. გოლი გაიტანა შიმანოვიჩმა.

ის, რომ მინსკის “დინამო” წელს საუცხოოდ მოემზადა ჩემპიონატისთვის, არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, მით უმეტეს - თბილისელი ფეხბურთელებისთვის, რომლებმაც კარგად იცოდნენ მინსკელთა მიერ ძლიერად ჩატარებული საკონტროლო მატჩებისა და ქუთაისში დამაჯერებლად მოგებული თამაშის შესახებ.

და მაინც ჩემპიონმა მეტისმეტად უღიმღამოდ, უტემპოდ, როგორღაც უხალისოდაც დაიწყო თამაში და ეს ინერტულობა გუნდს ბოლომდე გაჰყვა.

პირველი საყვედური, რასაკვირველია, ეთქმის თავდასხმას. იშვიათად, ძვირად თუ გათამაშდებოდა შეტევაში კომბინაცია, რომელიც თავისი მოულოდნელობით და სიმწვავით, ჩანაფიქრისა თუ შესრულების ხარისხით ახლოს იდგა კარის აღებასთან. ფორვარდების ურთიერთობა ბურთთან ერთობ ზანტ, შენელებულ ფორმებში გამოიხატებოდა, გადაცემები ხდებოდა ძირითადად სიგანეზე ან უკან, რაც მოწინააღმდეგე დაცვას ძალთა ორგანიზებულად გადაჯგუფების საშუალებას აძლევდა. გაიხსენეთ, თუნდაც, მეტრეველის თამაში. 90 წუთის განმავლობაში მან სულ ორჯერ-სამჯერ თუ შეძლო ხეირიანი გარღვევის განხორციელება, თანაც თავად სრულიად არ უქმნიდა საფრთხეს მინსკელთა კარს. ძალზე პასიური იყო დათუნაშვილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 68-ე წუთზე მან ვერ გამოიყენა ბურთის გატანის ასპროცენტიანი შანსი. სრულიად გაუგებარია, რატომ არ ეთამაშებოდნენ პარტნიორები მაისურაძეს, როგორც ამას უბრალო ტაქტიკური ლოგიკა მოითხოვს?

ჩვენი გუნდის დაცვაში ხშირად აქვს ადგილი გაუმართლებელ აზარტს, ზედმეტ რისკს. რა საჭიროა ისეთი ტექნიკური ტრიუკების შესრულება, რომლებიც სანახავად მართალია ეფექტურია, მაგრამ საკუთარი კარისთვის - სახიფათო? როცა მოწინააღმდეგე თავდამსხმელს სისწრაფეში ჩამორჩები, ჟონგლიორობა ყოვლად გაუმართლებელია. აქ ერთი ბეწო შეცდომა შეიძლება საბედისწეროც აღმოჩნდეს.

გოლი, რომელიც გ. სიჭინავამ გაიტანა, შეიძლება არც გასულიყო მინსკელთა კარში. ეს იყო ნამდვილი კურიოზი: დენისენკო სრულიად დამშვიდებული უცდიდა

შორიდან ნელა მგორავ ბურთს და როცა ბურთი უსწორო ადგილიდან ასხლტა და მიმართულება შეიცვალა, მეკარემ მას ბადეში მოჰკრა თვალი.

გაცილებით უფრო შთამბეჭდავი იყო სტუმრების გოლი. მათ სისტემატურად გაჰყავდათ კარის წინ მშვილდივით მომართული მუსტიგინი. გაჰყავდათ ელემენტარული, უბრალო გადაცემით. ერთ-ერთ ასეთ მომენტში მუსტიგინმა მოუგო სპრინტი ხურცილავას და უძლიერესი დარტყმით გაქვითა ანგარიში - 1:1. ეს მოხდა მე-80 წუთზე. დარჩენილ დროში თბილისელების ქაოტურ იერიშს შედეგი არ მოჰყოლია.

არბიტრმა ა. ვასილევმა ძალზე არაკვალიფიციურად ჩაატარა მატჩი.

რ. ქორიძე.

“ლელო”, ხუთშაბათი, 22 აპრილი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 22.04.65